მატჩი ბაქოში

ბაქო. ვ.ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. 2 მაისი.

”ნეფთჩი” (ბაქო) – ”დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

”ნეფთჩი”: რასულოვი, აბდულაევი, ღარიბოვი, უზბეკოვი, ხუდიევი, მიხაილევსკი (პონომარიოვი), ალექპეროვი, ნურმამედოვი, ნიკოლაევი (ახმედოვი), ყურბანოვი, ჯავადოვი.

”დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე (ჟვანია), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები - 1:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა გოგრიჭიანმა.

თამაში პირველივე წუთებიდან საინტერესოდ, მაღალ ტემპში წარიმართა, თბილისელებმა მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა და რასულოვის კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ დინამოელები, ისევე როგორც წინა მატჩში ”ფახთაქორთან”, ერთობ არაზუსტად ურტყამდნენ კარში. ბურთის გატანა შეეძლოთ სვანაძეს, სულაქველიძეს, ყიფიანს, დარასელიას. ორჯერ ზედიზედ გავიდა ხელსაყრელ პოზიციაში შენგელია, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმების უმეტესობა სცდებოდა კარს.

დინამოელებს შუა მინდორში საფუძვლიანი კონტროლი ჰქონდათ ბურთზე, ამიტომ ”ნეფთჩის” თავდამსხმელები იშვიათად თუ აღწევდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანს. ბაქოელთა მიერ შექმნილი სახიფათო მომენტები ალექპეროვისა და ყურბანოვის გარღვევებით ამოიწურა.

დინამოელები განაგრძობდნენ იერიშებს შესვენების შემდეგაც, განსაკუთრებით აქტიურობდა მარჯვენა ფლანგი.

58-ე წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეიჭრა ჯავადოვი. დინამოელმა სვანაძემ მასთან შეტაკების დროს მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და მსაჯმა პენალტი დანიშნა თბილისელთა კარში. ალიევის დარტყმა ზუსტი იყო - 1:0

შემდგომში თბილისელებს კვლავ მიეცათ კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები ისევ უზუსტო იყო, ამასთან, კარგად ითამაშა მეკარე რასულოვმა.

”ლელო”, 5 მაისი 1981 წ.